ეროვნული ბიბლიოთეკა






ნახ. ა. ბანძელაძისა და გ. ლომიძისა

## ხმა ძლიერების, ხმა გამარჯვების

— ეს რა გუგუნებს, რა ძლიერების ხმა გრიალებს? ლამის ჭერი ჩამოგვანგრიოს თავზე.
— ოო! მისტერ უოლსტრიტ, ეს საბჭოთა ხალხის ხმაა, რასაც ის ერთსულოვნად აძლევს თავის რჩეულ ადამიანებს!

# ნ ი ა ნ გ ი

№ 5. თბილისი, 1950 წ. გამომცემლობა „კომუნისტი", გამოცემის წელი XXVII. ფასი 2 მან.

# არჩევნები მათთან

ნახ. ი. ქოქიაშვილისა



— წარმოიდგინე, 10.000 გირვანქა დამიჯდა პარლამენტში გასვლა.
— იაფად გადარჩენილხარ, მისტერ სტენლი, მე, გარდა სხვა უამრავი ხარჯებისა, 25.000 სანთელი დავწვი ეკლესიებში ჩემი განსვენებული „ამომრჩევლების“ სულის მოსახსენებლად.

## კვლავ ფასს ვუკლებთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვლავ ფასს ვუკლებთ!.. ამ სიხარულს
რა გაზომავს—თვითონ ბრძანეთ,
კვლავ ახალი ზეიმი აქვს
ჩვენი ოფლით შექმნილ მანეთს.

კვლავ ფასს ვუკლებთ: ეს ნიშნავს, რომ
საქონელი დავდგით ზღვათა,
რომ ჩვენს ხვედრს და ჩვენს სიხარულს
ფასი უფრო მოემატა.

კვლავ ფასს ვუკლებთ: ეს ნიშნავს, რომ
გვიშუშდება ომის წყლული,
რომ დღესვე სჩანს ჩვენი ხვალის
გამარჯვების სიხარული!..

იმათთან კი, კაპიტალი
ახალ ომის ქსელს რომ ხლართავს,
კრიზისს, შიმშილს და სიძვირეს
კვლავ ზეიმი გაუმართავს

იქ იაფი არის მხოლოდ
მშრომელების გასაჭირი,
ხალხის სისხლზე ფასი იკლებს
და ლუკმა კი—არის ძვირი,

და რამდენიც ჩვენს გმირ მანეთს
ოქროს წონა ემატება,
იმდენად მათს ყაჩაღ დოლარს
წასაქცევად წელი სწყდება.

ჯანდაბა მას და მის პატრონს!
ჩვენ კი მით ვცვლით საქმის არსსა,
რომ ფასს ვუკლებთ საქონელს და
მით სიცოცხლეს ვმატებთ ფასსა.

**მახვილაკი**

## ერთი ამომრჩევლის თავისებურება

მარტის თორმეტის დილას ჩვენი საარჩევნო უბანი გათენებისასვე გამოცოცხლდა. ახალგაზრდამ თუ მოხუცმა, ქალმა თუ კაცმა ერთად მოგვაშურა და, თქვენ წარმოიდგინეთ, თან რამდენიმე ბავშვიც კი მოჰყვათ. (მოგეხსენებათ ცნობისმოყვარეობის ძალა!). დილის თერთმეტ საათამდე არ გათავებულა ამომრჩეველთა რიგი და როცა ხმის მიცემის მონაწილეთა გამოცხადების პროცენტი ასს მიუახლოვდა, მე და ერთ-ერთმა ჩვენმა აგიტატორმა ისეთ ამომრჩეველთა სიას გადავხედეთ, .რომელთაც ავადმყოფობის, ან ინვალიდობის გამო საარჩევნო უბანში მოსვლა არ შეეძლოთ.

რამდენიმე წუთის შემდეგ ერთ-ერთი ავადმყოფი ამომრჩევლის კარებზე დავაკაკუნეთ.

კარი ცქრიალა გოგონამ გაგვიღო.

— მობრძანდით, მობრძანდით, დედა მალე მოვა, ბებია წევს, ავად არის. იმასთან ნუ შეხვალთ, ბებიას ექიმები ეჯავრება!

ჩვენ ბავშვს ავუხსენით, რომ ექიმები არ ვიყავით და საქმე კი სწორედ ბებიასთან გვქონდა...

— რაზე გარჯილხართ, ყმაწვილებო,—ღიმილით შეგვეგება ლოგინში მწოლარე მოხუცი და რაკი საარჩევნო ყუთს თვალი მოჰკრა, პასუხის მიცემა აღარ გვაცალა.—მობრძანდით, გასაგებია, სასიამოვნოა. ბოდიში კი რომ შეგაწუხეთ და სახლში მოგიყვანეთ!

ჩვენ განვუმარტეთ, რომ ამომრჩეველთადმი მომსახურება ჩვენი საპატიო მოვალეობაა და დეპუტატობის კანდიდატთა ვინაობის გაცნობას შევუდექით.

— ნუ სწუხდებით, შვილო, მშვენივრად ვიცნობ ჩვენს კანდიდატებს, ერთ მათგანს კი, მაგ ბიულეტენში რომ სწერია, თქვენზე უკეთესადაც კი ვიცნობ და ვემდური კიდეც.

მიზეზი ვკითხე.

— ეჰ, შვილო, თქვენ მაგას არ იცნობთ. რომ იცოდეთ რა დანაშაული მიუძღვის დედამისის წინაშე.

— არ ეხმარება? უპატრონოდ ხომ არ ჰყავს მიტოვებული?

— დახმარებით, ლხენა მოგეცათ—ზედაა გადაგებული, მაგრამ დედას რა სჭირს მისი დასახმარებელი? კოლმეურნეობაში, ჯერჯერობით, ერთი-ორს კიდევ ჯობნის.

— მაშ რას აშავებს?

— რას აშავებს და სანახავად ენატრება საცოდავ დედამისს. მოწერს წერილს სოფლიდან, ჩამოდი, შვილო, დედა გენაცვალოს, დაისვენე, მნახე, არ მოგეწყინა ეგ მტვრიანი ქალაქიო? ეგ კი ფულს გაუგზავნის და შეუთვლის, არ მცალია, ჩემო დედავ, შენ თვითონ ჩამოდი და აქ მნახე.

— მერე, რა არის მაგაში ცუდი?

— ბიჭოს!—იღიმება მოხუცი,—არაფერია ცუდი! ხომ, თქვენც გეყოლებათ შვილები და მაშინ ნახეთ. ჩამობრძანდით მამიკოო, რომ მოგწეროთ, ჩაბრძანდებით მასთან და...

— ჩავალთ და ვნახავთ ჩვენს შვილებს...

— ნახავთ, კი, როგორ არა, როგორც მაგას ნახულობს დედამისი. გათენდა, არ არის, უკვე წასულა, დაღამდება, ელოდება, დაეძინება, მოვა, არც-კი გააღვიძებს. კვირა დღეს შეხვდება მარტო და ანუგეშებს: ცოტა მოიცადე, ეს დღეები გაივლის და მეტი დრო მექნება, უფრო ხშირად ვნახავთ ერთმანეთსო. მის ამბებს გაზეთში თუ კითხულობს დედამისი, ეს რეკორდი დაამყარაო, ეს სიტყვით გამოვიდა ამომრჩეველთა წინაშეო და რა ვიცი, კიდევ რა...

— რას იზამთ,—ვეუბნებით ჩვენ,—დეპუტატი ხალხის მსახურია. ხალხის სამსახური კი დიდ დროს წაართმევს და ამის გამო მშობელი არ უნდა დაემდუროს. ეგეც არ იყოს, ერთის წყენინებით არ უნდა უარვყოთ ათასეულთა სურვილი. ხალხს სურს, ერთეულების აზრი კი ამ შემთხვევაში არაფერს ნიშნავს.

— ხალხს სურს?—იკითხა მოხუცმა.

— სწორედ ასეა.—მივუგეთ ჩვენ.

— მომეცით, მომეცით ბიულეტენი, ხალხის სურვილს მე არასოდეს გავქცევივარ. აირჩიონ, რა ვქნა, მისი სიკეთე როგორ მეწყინება, დედა ენაცვალოს!..

**გ. ივანიშვილი**



# ოქროს ცხვარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსები გაოცებით უყურებდნენ მოსულს. საუბარი დიდხანს გაგრძელდა. შავი მძიმე ღრუბლები ხეობას შემოჰყვა. უცბად გაიელვა და უმალვე მრისხანე ჭექა-ქუხილმა შეარყია ხეობა.

— შეუჩვეველი კაცი ხარ, არ შეგცივდეს გეთაყვა, მობრძანდით, მოისვენეთ!..—მიმართა სტუმარს მწყემსმა ბურდულმა და სტუმარს შინ შეუძღვა.

სადგომში სუფრა იყო გაშლილი, ირგვლივ მწყემსები ისხდნენ. ბურდულმა ჭიქა აიღო.

— დღე და ღამე ვშრომობთ და მაინც ვერ დავასუქეთ ცხვარი, ხანდაკია. პირველად რომ შემხვდა ჩვენი სტუმარი, გამეხარდა, მაგრამ, როცა მან გამხდარ თოხლს ხელი შეახო, ქინჯარივით დამსუსხა ტანში. გუნებაში ვინატრე, რატომ ზღაპრული ოქროს ცხვარი არ გვყავს, რომ სტუმართანაც ამაყად ვიყოთ და მასპინძელთანაც-თქო. ალბათ გაგიგონიათ ქვეყანაზე, რომ ოქროს ცხვარი ყოფილა, მას ოქროს ბეწვი და ვეებერთელა დუმა ჰქონია.

— ეგ, ეგ არის,—შეაწყვეტინა სიტყვა მეორემ,—აი, ნატროშვილიანთ ბიჭი ყოფილა თურმე, ყარაკულის ჯიშის ცხვარს აჯვარებს თუშურ ცხვართან, ოქროს ცხვარი მინდა გამოვიყვანოვო დაუკვეხნია, მაშა!

— რას ამბობ, ოცნების მაღა კარგი ჰქონია მაგასა! – გაიკვირვა ბერიკაცმა.

— ერთი ის დამანახვა, მარჯვენას დავუკოცნიდი მე და ჩემმა ღმერთმა, ამოილაპარაკა კუთხეში მჯდარმა მწყემსმა.

— განა ჩვენთან ამოსვლას იკადრებს! ვინ იცის ცხვრებს ალბათ კაბინეტში ადოლებს. —ღიმილით თქვა მესამემ.

სტუმარმა ველარ მოითმინა, ფეხზე წამოდგა:—სწორედ მაგ საქმისათვის გეახელით, მეგობრებო!... მე სწორედ ის ნატროშვილი გახლავართ.

— ეე, რას ამბობს, კაცო, შენ გინდა შექმნა ოქროს ცხვარი? შენ ხომ ეფრემ გვერდი არა ხარ, ვიღაც მოატყუო!... ვერ დავიჯერებ, ვერა...—ამოილაპარაკა გიორგიმ და ეჭვის თვალით გახედა უცნობს.

სტუმარი არჩილ ნატროშვილი იყო. იგი მწყემსებთან დარჩა, მათთან განაგრძო ახალი ჯიშის ცხვრის გამოყვანაზე მუშაობა.

ხანი გავიდა. ნატროშვილის „ოქროს ცხვარი“ მოშენდა, გამრავლდა. ბერიკაცები გაოცებულნი იყვნენ: „ეს რას მოვესწარით, ზღაპარი სინამდვილედ ახდა, რა ქნა, რა სასწაული მოახდინა ამ კაცმაო...“ არჩილ ნატროშვილი მეცხვარეების საყვარელ ადამიანად იქცა.

— : —

ერთ დღეს გიორგი ბურდულმა მეგობრის ნახვა მოიწადინა, თბილისში ჩამოვიდა, მოკრძალებით გაიარა ინსტიტუტის ნათელი დერეფანი.

— თქვენ ვის ეძებთ, ძია კაცო?—გაუბედა დამხვდურმა.

სიტყვა არ დაესრულებინა დარაჯ ქალს, დერეფანში არჩილი გამოჩნდა. დარაჯი მაშინვე ფეხზე წამოდგა. „დირექტორი მობრძანდებაო“ წაიჩურჩულა და მეცხვარეს გზა გაანთავისუფლებინა.

მეგობრებმა შორიდანვე ერთმანეთს გაუღიმეს, არჩილი ძმურად გადაეხვია ბურდულს და გადაკოცნა.

— ახლა გვეწვიე, აღარ შევრცხვებით, ცხვარი ხანდაკი აღარაა, ხუთასამდე ოქროს ბატკანი დახტუნავს ჩვენს ფერმაში, სხვაგან კიდევ ვინ დასთვლის!—სიხარულით ეუბნებოდა გიორგი მომღიმარ მეგობარს.

— : —

სუსხიანი ქარი ქროდა. საზამთრო საძოვრებზე გარეკილი ნახირი სადგომებში დააბინავეს. მწყემსები ბუხარს შემოუსხდნენ. ყველა ფერმის მუშაკი იყო აქ.

— ხომ არ იცი, გიორგი, რისთვის შეგვკრიბენით?—წასჩურჩულა მეგობარმა. ბურდულმა ხმა არ გასცა. თავმჯდომარემ კრება გახსნა. კრების თავმჯდომარეს ბურდულმა თითით ანიშნა, სიტყვა სთხოვა. წამოდგა, ქუდი ხელში დასრისა, ჩაახველა, მომღიმარი თვალები მეგობრებს გადაავლო და დაიწყო.

— ვინც სამშობლოსთვის თავდადებულია, ვინც ბოლშევიკური პარტიის ერთგული შვილია, ვისაც მეცხოველეობის განვითარება სულსა და გულს ურჩევნია, ვინც ნამდვილად შექმნა ქართული ცხვარი, ოქროს ცხვარი, ჩვენს მეგობარს, არჩილ გიორგის ძე ნატროშვილს ვასახელებ საბჭოთა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს დეპუტატობის კანდიდატად!—მქუხარე ხანგრძლივმა ტაშმა დაფარა ბოლო სიტყვები.

— ალალია, ღირსია!—ერთხმად შესძახეს მწყემსებმა.

**აკაკი გოცირიძე**

## ლონდონის ქუჩებში

**ნახ. დონისა**



**— აირჩიე: ან ფული, ან სული!**

**— ბატონებო! ვუშინ ისეთები „ავირჩიე“, რომლებმაც ჩემი ფულიცა და სულიც დიდი ხანია მიითვისეს.**

## ორნი არიან, ტოლნი არიან, ერთად მოდიან, მოიმღერიან.

(დავ. ანდღულაძისა და პ. ამირანაშვილის შემოქმედებითი საღამოს გამო).

მეგობრული შარჟი

ნახ. გ. თომაშვილისა



# მოკლე სარკინიგზო შენიშვნები

### 1. მატარებლის დიქტორი

ბათუმის რკინიგზის სადგურში თბილისისკენ მომავალი სახალხო მატარებელი ჩამოდგა. მთავარი დარბაზის კარებთან მდგომმა კონტროლიორმა ხელით გვანიშნა — მწკრივად დავმდგარიყავით, გულჯიბიდან დინჯად ამოიღო სათვალე, ხელის გულით გაწმინდა, დინჯად მოირგო სიცივისგან აჭარხლებულ ცხვირზე, მერე კლიტე მოიხელა და მხოლოდ ნახევრად გამოაღო ცალი კარი და ყველა ცოდვიანი და უცოდველი ამ ნახევრად-გაღებულ კარში გაგვატარა. ვინც ცარიელ-ტარიელი იყო, ან მცირე ხელბარგი ჰქონდა, იოლად ახერხებდა ამ ოპერაციის გადატანას, ხოლო ჩემოდნიანი მგზავრები აშკარად ავარიულ მდგომარეობაში ვარდებოდნენ. თუ პირველად თავს გაჰყოფდნენ კარში, მაშინ ოდნავ მოგვერდებული ჩემოდანი ეხეთქებოდა კარს და ჯიქდებოდა, სადგურში დარჩენას ლამობდა... და ხათქახუთქი გაჰქონდა ნახევრად გამოღებულ კარს!

...დაიძრა თუ არა მატარებელი, ვაგონის ჭერთან შედგმული რადიორეპროდუქტორი ახმაურდა. ჯერ რომელიღაც კინტოური სიმღერა ჩაახრიალა. ეს უვერტიურა აღმოჩნდა. მერე დიქტორმა ერთი ლაზათიანად ჩაახველა და ხრინწიანი ხმით მოგვმართა მგზავრებს.

... მატარებლის პასაჟირის მგზავრები, ვაგონი ნომერი ხუთი და შვიდში აქვენ თბილი და ტკბილი ჩაი, ყველა შეგიძლიათ დალევა...

მცირე ხნით შეჩერდა დიქტორი და მერე ისევ ამოიღო ხმა:

... მოქალაქე მატარებლის პასაჟირის მგზავრები, უახლოვდებით სადგური ქობულეთი, სტაიანკა ათი წუთი... პასაჟირის მგზავრები, მატარებელს აქვს უფროსი გამყოლი ტავარიშჩი ფაცურია, რომელიც არის მეშვიდე ვაგონი...

და მერე ყოველ მნიშვნელოვან სადგურის მოახლოებისას ჩვენი საყვარელი დიქტორი შეუმცდარად აბულბულებდა ასეთი ტკბილქართულით დაწერილ ტექსტს.

ამბობენ მატარებლის დიქტორის ეს სტანდარტული ტექსტი საფუძვლიანად არისო გასინჯული და ვიზირებული ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს რომელიღაც განყოფილების მიერ.

### 2. სეფიეთელი მკითხავის რჩევა

როცა აქ პირველად გაიყვანეს რკინიგზა, ამ ადგილს ახალსენაკი ერქვა. მიწა-წყალი თავად ხეციას ეკუთვნოდა და იმ ხეციას ნება არ დაურთავს პროექტით გათვალისწინებულ ადგილზე გაეშენებიათ რკინიგზის სადგური.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ახალსენაკიც ქალაქი გახდა და მას სახელიც გამოეცვალა — ცხაკაია დაერქვა.

სამწუხაროდ, სადგური ისევ ძველებურად პირუკუა დადგმული.

რკინიგზის ყოველ წესიერ სადგურს ზურგი აქვს შექცეული ქალაქისკენ და ეს შენობათა უზრდელობით კი არ უქნიათ [illegible], არამედ მგზავრებისადმი პატივისცემით, რომ მათ მატარებლიდან ჩამოსვლის შემდეგ თავისუფლად შესძლონ ქალაქში გასვლა. ცხაკაიას რკინიგზის სადგურს-კი არც ისე მომხიბვლელი გულმკერდი აქვს მოშვერილი ქალაქისაკენ.

ყველამ ვიცით, რომ მატარებლის გამყოლნი მოჭარბებულად იცავენ წესრიგს და ვაგონის მხოლოდ იმ კარს აღებენ, რომლიდანაც მხოლოდ სადგურში ჩამოსვლას შესძლებთ... ჰო-და ჩამობრძანდით თქვენ სადგურ ცხაკაიაში, თუ ქალაქში სასწრაფო საქმე გაქვთ, მაშინ უნდა იკადროთ დათხება და ხოხვით გაძვრეთ ვაგონქვეშ...

როგორც იყო გადაწყვიტა რკინიგზის სამშენებლო სამმართველომ წესიერი სადგურის აგება ცხაკაიაში. საქმეს პირი კი გამოუჩნდა, მაგრამ ბოლო არ მოება.

სამიოდე წლის წინათ ჩავედი ცხაკაიაში და დათხილმა თავი გამოვყავი თუ არა ვაგონქვეშიდან... ვიხილე და გამეხარდა: რკინიგზის ახალი სადგურის მშენებლობა დაეწყოთ.

შარშან ჩავედი და ვარჯიშის იგივე სახეობის ჩატარების შემდეგ შევნიშნე, რომ სადგურის კედლები ამოეყვანათ და შარშანწინდელზე უფრო გავმხიარულდი.

წელს ჩავედი ცხაკაიაში და გული გადამიბრუნდა: თითქოს დადაბლებულა და საძირკვლამდე დასულა სადგურის კედლები;

მიზეზი ვიკითხე და კარგად ინფორმირებულ წრეში საიდუმლოდ გამიმხილეს, რომ სადგურის მშენებლობას უკურნებელი სენი შეჰყრია—ამოიყვანენ თუ არა კედელს, საიდანღაც გაჩნდება ახალი პროექტი და აშენებულს ისევ დაშლიან... გულუბრყვილო ხალხი კი ფიქრობს, რომ აშენებული კედელი თავისთავად იშლება, სწორედ ისე, როგორც სურამის ციხის აგებისას ხდებოდა და ცხაკაიელმა მცხოვრებლებმა თავიანთ რკინიგზის სადგურს უკვე შეარქვეს „სურამის ციხე“.

ბევრი ღონე უხმარიათ და ბოლოს რჩევისათვის მიუმართავთ სეფიეთელ მკითხავ მაკასათვის. იმ გულთმისან მაკას გაუშლია ქაღალდი ერთხელ, მეორედ, მესამედ, შეუკრავს წარბები და უთქვამს:

— სადგურის აგებას მხოლოდ მაშინ დაადგება საშველი, თუ ერთი შეუცვლელი პროექტი გექნებათ და აღმოსავლეთის კედელში ცოცხლად დაატანთო მშენებლობის ახლანდელ მწარმოებელსო...

ვნახოთ. როგორ განახორციელებენ სეფიეთელი მკითხავის რჩევას...

**მოგზაური**





# ჩანგლის წვერზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხევშიც ამოდი, ნიანგო!

შენამც იცოცხლე ნიანგო,
გვახარებს შენი სახელი,
ამოდი, მოგვინახულე,
მოხევეებიც გვნახევი.

არღუნთან ახლოს, შენც იცი,
არის ველთაურთკარია,
იქ წინათ თურმე ხიდ იყო
ქვიტკირზე შემომდგარია.

იყო, ჩალპა და ჩაინგრა,
ის ჩვენგან შესაბრალია
მაგრამ ვის მოგონებია
მას შემდეგ ხიდი საწყალი.—
მხოლოდ ფიცრები გააწყეს
ათი წლის წინათ ახალი.
იმ ხიდზე ნუ გადმოივლი,
მცდარია, ქარი აქანებს,—
ხან აკვანივით ირწევა,
ხან ძველ კბილივით ფამფალებს...

— • —

დუშეთში გაკვირდებიან
ხიდზე რომ ვამბობ სიტყვასა
და, ალბათ, გლეხის ქუჩაზე
ბევრი ხელს მუხლზე ირტყამსა.

იტყვიან: „ჩვენ ვის მივმართოთ,
წერილი ვილას ვუგზავნოთ.
კომგანი შემოგვემდურა
აბანოსავით უწყალო;

ის ამბობს: ხიდი რად მინდა,
წყალი არ არის დუშეთში,
ობოლ ცრემლივით ჩამოდის
ჩვენი აბანოს დგუშებში.

აბანო ხმას რომ გაიგებს,
უწყალოდ ჩაიმდუღრება:
„მთელ კვირას კვამლი არ იცის
ჩემმა ჭვარტლია ბუხრებმა“

ყველას თავისი აწუხებს
დარდი და გასაჭირია,
ამოდი, ძმაო ნიანგო,
შენი ჩანგალი გვჭირია.

**ხევსური**



## რას გვერჩის გაზაფხული?

**(სოფ. დირბი)**



ქარელის რაიონის სოფ. დირბის კოლმეურნეობაში, სადაც თავმჯდომარედ გიორგი მურაჩაშვილია, ეს ოთხი წელია, რაც გაზაფხული ქურდულად მოდის და თავმჯდომარემ ვერავითარი ზომა ვერ მიიღო მის შესაჩერებლად.

ამ რამდენიმე ხნის წინათ, მზემ რომ გამოანათა და გაზაფხულის მოახლოება გვამცნო, გიორგის ჯერ კიდევ არაფერი ჰქონდა გაკეთებული გაზაფხულის ხორბლისა და ქერის დასათესად. მანქანა-იარაღები შეუკეთებელი ეყარა და მზეს ისე ეშმაკურად შესცინეს, თითქოს მურაჩაშვილის კმაყოფილები არ არიანო.

იქნებ თქვენ მაინც სთხოვოთ, ამხ. ნიანგო, მაგ მოუპატიჟებელ გაზაფხულს, რომ ერთი-ორი წლით ადრე შეგვატყობინოს ხოლმე თავისი მოსვლა!

რას გვერჩის ასე ჩუმად რომ მოგვეპარება ხოლმე?

**ვ. ქვიშხურიძე**

# ბ ა რ ა თ ე ბ ი ნ ი ა ნ გ ს!



### ამხ. ნიანგო!

ვცხოვრობთ ქუთაისში კიროვის ქ. № 68 სახლში, რომელსაც 1949 წ. ბოლო თვეებში გაუკეთეს ე. წ. „რემონტი“. სახურავი გამოცვალეს, მაგრამ ვაი ასეთ გამოცვლას. საკვირველი ხარისხის კრამიტები დააწყეს, ჩაიმსხვრა ეს კრამიტები და ოთახებში წყალი ისევ ჩამოდის. თქვენ ხომ არ იცით, ნიანგო, განზრახ ხომ არ ჰქნეს ასეთი რამ: ქუთაისში ხომ წყალი ზოგჯერ ძნელი საშოვარია და წვიმის წყალით ისარგებლონ მცხოვრებლებმაო. რა ჰკვიანი თანამშრომლები ჰყავს ქუთაისის სარემონტო კანტორას?

ო. კოლოძე

## უიმედო იმედი

„წყალტუბო-ქუთაისის“ ვაგონებში
არც განათებაა, არც გათბობა.

გარეთ ყინვა, ბნელი ღამე,
ვაგონში უარესი:
არც სინათლე... კუპეებში
ბინდი უწყვდიადესი.
თუ კონდუქტორს რამე ჰკითხეთ,
ის თავს ასე „იმართლებს“:
—სიბნელე თუ არა ნახეთ,
ფასს ვერ დადებთ სინათლეს...
როცა ჯდებით, საქმე მაშინ
უნდა ასწონ-დასწონოთ;
ახლა სწუხართ?.. ვინ გაძალებთ,—
ფეხით წადით, ბატონო!
ამ სიტყვებით კონდუქტორი
ხალხს „ამშვიდებს“ მარადის...
თან ცოტა ხნით შესათბობად
ყირამალას გადადის.

**შ. ილიაძე**






### პატივცემულო ნიანგო!

ამ დღეებში ჭიათურის რაიონის სკოლებში მიიღეს 1950 წლის ეგრეთ წოდებული მოწაფის კალენდარი. პატარა ქაღალდის ჩამონაჭრებზე დაბეჭდილ კალენდარს საკმაოდ მოზრდილი ფასი აქვს (1 მანეთი და 50 კაპ.).

მაგრამ არც მოზრდილი ფასი და არც პატარა კალენდარი ისე არ გვაწუხებს, როგორც იმაზე ფიქრი, რომ ამ კალენდრის წაკითხვა უმიკროსკოპოდ არ შეიძლება, ხოლო მიკროსკოპი კი არ მოგვეპოვება.

იქნებ გვიშუამდგომლო ნიანგო, გამომცემლობის წინაშე, რომ გამადიდებელი შუშებიც გამოგვიგზავნონ მათი პროდუქციის გასაცნობად.

ჭიათურელი მოწაფე

**სარედაქციო კოლეგია:** გრ. აბაშიძე (პ. მგ. რედაქტორი), აკ. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი, უ. ჯაფარიძე, კ. კალაძე, ი. ნონეშვილი (პ. მგ. რედაქტორის მოადგილე), ს. ფაშალიშვილი.

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 14. ტელ. 8-10-49.

ხელმოწ. დასაბ. 1950 წ. 7/III. ტექსტი აწყობილია ლ. პ. ბერიას სახ. პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის“ სტამბაში, შეკ. № 284. ლენინის ქ. № 14. დაბეჭდილია სტამბა „ზარია ვოსტოკას“ ოფსეტმანქანაზე, შეკ. № 661. თბილისი, რუსთაველის გამზ. № 42. გამოც. № 28. ტირ. 11000. უე. 01452.

# წყეული სახლი

„...ამერიკელი ხელისუფალნი აპირებენ ავსტრიიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში გადაიტანონ ის სახლი, სადაც ჰიტლერი დაიბადა".

(გაზეთებიდან)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაუ... ნაუ!.. ბრაუნაუს
ეკლესიის რეკდა ზარი,
როცა ბავშვი დაიბადა
თავბრტყელი და შესაზარი.
თითქოს მისი დაბადება
ხალხს სიცოცხლეს წაართმევდა,
მიტომ თრთოდა მწუხრის ზარი —
რკინის ცრემლად ჩამომდნარი.
მართლაც, როცა გაიზარდა,
ომის ცეცხლი გააჩაღა...
მაგრამ სტალინგრადის შემდეგ
მისი ფერფლიც აღარ დარჩა.
დღეს სისხლისმსმელ მხეცის სახლი
გახდომიათ საოცნებოდ;
სურთ ვაშინგტონს ჩაიტანონ
ავაზაკთა სამლოცველოდ.
ხომ არ უნდათ, რომ იმ სახლში
კვლავ ჰიტლერი დაიბადოს?
უოლ-სტრიტი ისედაც ჰგავს
ყაჩაღების ინკუბატორს.
ან იქნებ სურთ, რომ გამდიდრდნენ
სენსაციურ ამბებითა;
და ქალაქი გააშენონ
სულ ბანდიტთა სახლებიდან?
ნაუ... ნაუ! . ბრაუნაუს
ეკლესიის მღერის ზარი;
სახლი უნდა მოაშორონ
ბინძური და შესაზარი.

ედიშერ ყიფიანი




ნახ. ა. კანდელაკისა